

2018 წლიდან ბაგა-ბაღებში შესაძლოა გადასახადი დაანესონ



მომავალი წლიდან დედაქალაქის ბაგა-ბაღებში შესაძლოა გადასახადი დაანესდეს. თავდაპირველად ეს ინიციატივა პრემიერ-მინისტრმა გაახმოვანა, ხოლო შემდეგ თბილისის მერმა კახა კარაძემ გააკათა ამ თემაზე განმარტება.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ოჯახებმა, რომელთაც საშუალება გააჩნიათ, რომ ბაღის გადასახადი გადაიხადონ, ეს გადასახადი უნდა გადაიხადონ.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერთად გამოვინახავთ იმ გზას, რომ ერთის მხრივ, ეს მზარდი მოთხოვნა საბავშვო ბაღებზე ჩვენ დავაკმაყოფილოთ, მაგრამ მეორეს მხრივ, მოვინახოთ მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, რომ ძალიან შეძლებული ადამიანებისთვის და ეს არ უნდა იყოს 70 ათასი ქუდა, ეს უნდა იყოს უფრო მაღალი ბარიერი, გაცილებით უფრო, ორჯერ, სამჯერ მაღალი ბარიერი, მაგრამ გარკვეული ტიპის ოჯახებისთვის, რომლებსაც ყვერანაირი საშუალება გააჩნიათ, რომ ბაღის გადასახადი გადაიხადონ,“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, საბავშვო ბაღებში ფინანსურ რესურსზე მოთხოვნა კატასტროფულად იზრდება, რასაც დედაქალაქის ბიუჯეტი ვეღარ აულის. კახა კარაძე კი აღნიშნავს, რომ კონკრეტულ გადაწყვეტილებას კონსულტაციების შემდეგ მიიღებენ.

„საუკეთესო გამოსავარს ვნახავთ. ზოგადად, რეფორმაა გასატარებელი სოციალურად დაუცველების მიმართულებითაც. მოძველდა ის არსებული სტატუსი და ვფიქრობ, ამას გადახედვა სჭირდება. ყვერათერი უნდა

დავინწყით ბავშვებიდან, პატარებიდან, რომ იმათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება დღეს დახმარება და თანადგომა, სახელმწიფო ძაღიან დიდ ფურს ხარჯავს და შესაბამისად, სწორად მოხდეს პრიორიტეტების განსაზღვრა. დავეხმაროთ იმ ოჯახებს, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირს”, – განაცხადა კახა კარაძემ.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ბაგა-ბალებში ერთ ბავშვზე გადასახადი 40- 50 ლარს შეადგენდა, ხოლო 2013 წლიდან ქვეყნის მასშტაბით საბავშვო ბალები უფასო გახდა. 2017 წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის დედაქადაქის ბიუჯეტიდან 94, 881.0 ათასი ლარი გამოიყო, თუმცა ბიუჯეტი გაიზარდა და ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, ჯამში მიმდინარე წელს 101, 543.9 ათასი ლარი დაიხარჯება. რაც შეეხება დედაქადაქის მომავალი წლის ბიუჯეტს, საბავშვო ბალების დაფინანსებისთვის 101 055.8 ათასი ლარია გამოყოფილი. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, 2012 წელთან შედარებით 2017 წელს თბილისის ბიუჯეტს ბალების შენახვა თითქმის 4-ჯერ გაეზარდა.